პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 4 აგვისტო, 1944 წ. № 157 (7100). ფასი 20 კაპ.

## ყოველდღიური მზრუნველობა ახალგაზრდა მუშების სწავლებას

დიდი სამამულო ომის დღეებში ფრონტზე წასულთა შესაცვლელად დაზგებთან დადგა ათასობით ახალგაზრდა მუშა. ისინი ფაბრიკა-ქარხნებში მოვიდნენ ერთი აზ-

სამუშაო ადგილის მოწყობაში, არ იყენებენ მათ შესაფერის სამუშაოზე. სასწავლებლებიდან მოსული ახალგაზრდების გარკვეული ნაწილი აქ ისევ მოწაფედ მუშაობს, ან დამ-

...

წრეები.

ახალგაზრდა მუშების ტექნიკურ სწავლებას ყველგან როდი ექცევა სათანადო ყურადღება. მაგალითად, თბილისის კიროვის სახელობის ქარხანაში არ ეხმარებიან ახალგაზრდებს

ლობით უპასუხებს ახალგაზრდობა ამ სასიხარულო ამბავს. კიდევ უფრო გავაძლიეროთ ეს აღმავლობა, ვამრავლოთ ჩვენი მიღწევები სამშობლოსათვის, წითელი არმიისათვის, სტალინისათვის.

## საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

### 2 აგვისტოს ოპერატიული ცნობა

2 აგვისტოს განმავლობაში ქალაქ რეზეკნეს (რეჟიცის) დასავლეთით ჩვენი ჯარები შეტევით ბრძოლებს ეწეოდნენ, რომელთა მსვლელობაშიც დაიკავეს ქალაქი ვარაკლანი, აგრეთვე დაიკავეს 30-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის სარნი, ბრუზი, ლეიმანი, ტილტაგალსი, სტეტი და რკინიგზის სადგური ტილტაგალსი.

ქალაქ კაუნასის (კოვნოს) ჩრდილოეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ და დაიკავეს ლიტვის სს რესპუბლიკის სამაზრო ცენტრი—ქალაქი და რკინიგზის სადგური კედაინიაი, აგრეთვე დაიკავეს 100-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები იაკუბაიცი, კროკი, დატნოვო, დუბი, იასვოინი, ზასტრაბე და რკინიგზის სადგური დატნოვო.

ქალაქ მარიამპოლის ჩრდილო-დასავლეთით და სამხრეთით ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ და დაიკავეს ქალაქი ვილკავიშკისი (ვოლკოვიშკი), ქალაქი კალვარია, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 100-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები დიდვიჟე, ბოლშიე შელვი, იანოვკა, სლობოდკა, ბუდვეცე, ვიდუზერი და რკინიგზის სადგურები ვილკავიშკისი, კალვარია.

ქალაქ სედლეცის ჩრდილოეთით და დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა ბრძოლებით დაიკავეს 200-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის ქალაქი ცეხანოვეცი, დიდი დასახლებული პუნქტები ფოიტკოვიცე, ბრანოე, ბრუდეკი, კამენკა, სკშეშევი, რეპკი, ვოროჟემბი, პაპროტნია, კრინიცა, სუხოჟაბრი, მროჩკი, ჟონძა, ლაზისკა, ჩარნა.

ქალაქ იაროსლავის დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა გასტეხეს მტრის წინააღმდეგობა და დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის კვანძი ჟეშუვი, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 150-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები როზალინი, მაიდანი, კოლბუშოვა, ბლოგუვი, მროვლია, დოლნა, ბოგუხვალა, ჩუდეცი, სტშიჟუვი და რკინიგზის სადგურები ბოგუხვალა, ბაპიცა ჩუდეცი, სტშიჟუვი.

ფრონტის სხვა უბნებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

1 აგვისტოს განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 63 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 76 თვითმფრინავი.

### 3 აგვისტოს ოპერატიული ცნობა

3 აგვისტოს განმავლობაში ქალაქ რეზეკნეს (რეჟიცის) დასავლეთით ჩვენი ჯარები ეწეოდნენ შეტევით ბრძოლებს, რომელთა მსვლელობაშიც დაიკავეს 30-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის ბუზანი, ბარკავა, აისპურესი, ბაური, დაბარი და რკინიგზის სადგური ატაშენი.

ქალაქ კაუნასის (კოვნოს) ჩრდილო-დასავლეთითა და დასავლეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ და დაიკავეს 200-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები პერნაროვო, პელუტოვო, დოვი, მანტიგაილია, ლებეძე, ბილიუნცი, ბერნატოვიჩე, საპეჟიშკი, როგლიშკი, სუტკი, ლუკშე, გრიშკა ბუდა, ბარზდი, ჟერდელე, ვილტრეკი, სტერკი.

ქალაქ სანდომირის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა გადალახეს მდინარე ვისლა, ხელთ იგდეს მის მარცხენა ნაპირზე პლაცდარმი ფრონტით 30 კილომეტრი და სიღრმით 25 კილომეტრამდე, ამასთან დაიკავეს 50 დასახლებული პუნქტი და მათ შორის ქალაქი სტაშუვი, დიდი დასახლებული პუნქტები კოპშივნიცა, პოლანეცი.

ქალაქ იაროსლავის დასავლეთითა და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ და დაიკავეს ქალაქი სანოკი, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 200-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ბუტა-კომაროვსკა, დოლნი, ნივისკა, დომატკუვი, ბრატკოვიცე, დომბროვა, ბურნა, შუფნაროვა, ვისნევა, ოჯიკონი, იაბლონიცა პოლსკა, ბჟოზუვი, რაჩკოვა და რკინიგზის სადგურები სვილჩა, სანოკი.

ფრონტის სხვა უბნებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

2 აგვისტოს განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 76 ტანკი, საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 81 თვითმფრინავი.

* * *

ქალაქ რეზეკნეს (რეჟიცის) დასავლეთით 6 შენაერთის მებრძოლებმა ბრძოლებით გადალახეს მდინარეები ტეიცია და ლისიაა. გერმანელები ვამაგრებდნენ ვარაკლანი-მადონას გზატკეცილზე და ცდილობდნენ შეეკავებინათ საბჭოთა ნაწილების შეტევა. ჩვენმა ქვეგანაყოფებმა ტყით შემოუარეს მტრის წინააღმდეგობის კვანძებს, ხოლო შემდეგ ფრონტი-

ჩვენმა ჯარებმა ვისლის მარცხენა ნაპირზე დაიკავეს 50 დასახლებული პუნქტი, მათ შორის ქალაქი სტაშუვი. ერთი დღის გააფთრებულ ბრძოლებში მოსპობილია 3 ათასამდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ხელში ვიგდეთ დიდძალი ალაფი, მათ შორის 8 ტანკი და სხვადასხვა ყალიბის 60 ქვემეხი. ტყვედ წამოყვანილია 300 გერმანელი.

...

ზე. მაგრამ საბჭოთა ჯარების დარტყმების გერმანელები ზედიზედ ჰკარგავენ პოზიციებს.

...მანქანებისათვის.

## ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა

(ტრესტ „საქჩაის“ 1 აგვისტოს ცნობებით)

| რაიონები | წლიური გეგმის შესრულება პროცენტებით | ივლისის გეგმის შესრულება წინა თვეების დანაკლისის ჩათვლით პროცენტებით | რაიონები | წლიური გეგმის შესრულება პროცენტებით | ივლისის გეგმის შესრულება წინა თვეების დანაკლისის ჩათვლით პროცენტებით |
|---|---|---|---|---|---|
| ბათუმი | 62,4 | 90,7 | ქუთაისი | 66,6 | 100,3 |
| ქობულეთი | 58,6 | 80,0 | წყალტუბო | 73,3 | 101,5 |
| გალი | 60,7 | 87,5 | ტყიბული | 73,3 | 106,9 |
| ოჩამჩირე | 49,0 | 45,5 | ცხაკაია | 64,8 | 95,7 |
| გულრიფში | 87,1 | 50,0 | აბაშა | 68,3 | 107,1 |
| სოხუმი | 128,0 | 140,0 | ვანი | 59,5 | 79,5 |
| გუდაუთი | 71,7 | 103,0 | ზუგდიდი | 58,7 | 75,5 |
| მახარაძე | 60,9 | 86,1 | წალენჯიხა | 68,3 | 102,8 |
| ჩოხატაური | 65,3 | 103,2 | ჩხოროწყუ | 58,8 | 69,6 |
| ლანჩხუთი | 57,2 | 77,0 | ხობი | 63,5 | 96,4 |
| სამტრედია | 71,6 | 106,9 | ჩხარი | 69,5 | 103,6 |
| წულუკიძე | 60,5 | 77,6 | ზესტაფონი | 29,5 | 24,7 |

ქობულეთის, ზუგდიდის, ჩხოროწყუს, მახარაძის, ოჩამჩირის, სოხუმისა და გულრიფშის რაიონების ცნობები არასრულია.

## გენერალ-მაიორ ნ. მ. რუხაძის დაჯილდოება

(მოსკოვი, „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან)

გაზეთ „იზვესტიაში“ გამოქვეყნებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება წითელი არმიის კონტრდაზვერვის გენერლების და ოფიცრების ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ. მათ შორის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია გენერალ-მაიორი ნიკოლოზ მაქსიმეს-ძე რუხაძე.

## გვარდიის მაიორ გ. გ. გოცირიძის დაჯილდოება

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ლენინის ორდენით დაჯილდოებულია გვარდიის მაიორი გიორგი გიორგის-ძე გოცირიძე.

## საბჭოთა კავშირის გმირი პლატონ წიქარიძე ჩოხატაურში

ჩოხატაური („კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან). 30 ივლისს ჩოხატაურის რაიონში ჩამოვიდა ქერჩის განთავისუფლებისათვის ბრძოლების სახელოვანი მონაწილე—საბჭოთა კავშირის გმირი კაპიტანი პლატონ ლუკას-ძე წიქარიძე.

31 ივლისს რაიონის მშრომელებმა შეხვედრა მოუწყეს პ. წიქარიძეს. გმირისადმი მიძღვნილი შეკრება გახსნა საქართველოს კ. პ. (ბ) ჩოხატაურის რაიკომის მდივანმა ამხ. ლ. ხნიკვიშვილმა. რაიონის საბჭოთა და პარტიული ორგანიზაციების სახელით გმირს მიესალმა ამხ. რ. გიორგაძე, რაიონის ახალგაზრდობის სახელით—კომკავშირის რაიკომის მდივანი ამხ. ლ. თოხაძე. მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე აკ. ფოცხიშვილმა და მღუამ.

დაბოლოს, შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდა პ. წიქარიძე, რომელმაც დამსწრეთ უამბო თავისი ბრძოლების რამდენიმე ეპიზოდი.

ასევე გულთბილი შეხვედრა მოუწყეს პ. წიქარიძეს თანასოფლელმა კოლმეურნეებმა სოფელ ინტაბუეთში, სადაც დაიბადა და აღიზარდა სახელოვანი ოფიცერი—კაპიტანი პლატონ წიქარიძე.

გრ. მამალაძე

## სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოში

### 1944 წელს საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ჩატარებისა და საკოლმეურნეო მეცხოველეობის აღმავლობის დარგში ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შესახებ

განიხილა რა 1944 წელს საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა და საკოლმეურნეო მეცხოველეობის აღმავლობის დარგში ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ საგაზაფხულო თესვის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, გამოზამთრებისა და მეცხოველეობის განვითარების საუკეთესო შედეგებისათვის ა. წ. 1 ივნისის მდგომარეობის მიხედვით სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად სცნო შემდეგი ოლქები, მხარეები და რესპუბლიკები და დაადგინა:

#### უხვი მოსავლის მიღებისათვის შეჯიბრების დარგში

1. გადაეცეს თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშები და

...

სტალინოს, სუმის, კამენეც-პოდოლსკის, კიროვოგრადის, ნიკოლაევის, ოდესის, ხარკოვის, ხერსონის ოლქების, ლენინგრადის, ორიოლის, გროზნოს, იაროსლავლის, ტულის, გორკის, არხანგელსკის, ივანოვოს ოლქების, ყაზახეთის სს რესპუბლიკის ყარაგანდისა და პავლოდარის ოლქების კოლმეურნეობებისა და მტს-ების კარგი მუშაობა საგაზაფხულო თესვის ჩატარებაში.

#### საკოლმეურნეო მეცხოველეობის აღმავლობისათვის შეჯიბრების დარგში

1. გადაეცეს თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშები და მიეცეს:

ა) პირველი ფულადი პრემიები: ივანოვოს ...

...

კრასნოდარის მხარის გულკევიჩის რაიონს

გორკის ოლქის ბოგოროდსკის რაიონს

როსტოვის ოლქის სალსკის რაიონს

აკმოლინსკის ოლქის აკმოლინსკის რაიონს

ნოვგოროდის ოლქის ბოროვიჩის რაიონს

ვორონეჟის ოლქის ბუდიონოვსკის რაიონს

ჩუვაშეთის ასს რესპუბლიკის ვურნარის რაიონს

საქართველოს სს რესპუბლიკის თეთრი წყაროს რაიონს

...რის რაიონს

სომხეთის სს რესპუბლიკის სტეფანავანის რაიონს

საქართველოს სს რესპუბლიკის ბორჩალოს რაიონს

ტაჯიკეთის სს რესპუბლიკის ლენინაბადის რაიონს

კიევის ოლქის პერეიასლავ-ხმელნიცკის რაიონს

## ყოველმხრივ მომზადებული შევეგებოთ ახალ სასწავლო წელს

1-2 აგვისტოს ჩატარდა განათლების მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საკითხებზე. თათბირზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარი ამხ. ვ. კუპრაძე.

ახალი სასწავლო წლისათვის მზადება კარგად დაიწყო საქართველოს მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებში,—განაცხადა მომხსენებელმა,—მიმდინარეობს სასკოლო შენობებისა და ინვენტარის შეკეთება, სასკოლო ასაკის

მოსახლეობის ჩაწერა. ყვარლის რაიონში, სადაც შესაკეთებელია 13 სასკოლო შენობა და შესაძენია მნიშვნელოვანი რაოდენობის სასკოლო ინვენტარი, 15 ივლისისათვის ორავითარი მუშაობა არ იყო დაწყებული. ყარაიის რაიონშიც ასეთივე მდგომარეობაა. ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში ძლიერ ჩამორჩებიან აგრეთვე ბაშკიჩეთის, თბილისის, წითელწყაროს, ქობულეთის, სტალინირის და აფხაზეთის ზოგიერთი რაიონი (ცებელდა, გუდაუთი).

...

საქართველოს ცენტრალური ბიბლიოთეკა

# ცნობა

## გერმანელი ფაშისტი დამპყრობლებისა და მათი თანამონაწილეების ბოროტმოქმედებათა დამდგენი და გამომკვლევი საგანგებო სახელმწიფო კომისიისა

### ჰიტლერელების მიერ საბჭოთა სამხედრო ტყვეების მოსპობა კამენეც-პოდოლსკის ოლქის სლავუტის „გროს-ლაზარეთში"

წითელი არმიის ნაწილების მიერ გერმანელთაგან ქალაქ სლავუტის განთავისუფლებისას ყოფილი სამხედრო ქალაქის ტერიტორიაზე აღმოჩენილ იქნა საბჭოთა სამხედრო ტყვეების „ლაზარეთი". მასში 500-ზე მეტი დაუძლურებული და მძიმე ავადმყოფი ადამიანი იმყოფებოდა. მათ ტვიამბეს გერმანელი ექიმებისა და „ლაზარეთის" დაცვის მიერ ათეულათასობით საბჭოთა სამხედრო ტყვის მოკვლის შესახებ.

უკრაინის სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩევის თავმჯდომარეობით, სპეციალურმა საგამომძიებლო კომისიამ გამოიკვლია ჰიტლერელების მიერ სლავუტის ლაზარეთში წითელი არმიის იმ ოფიცრებისა და მებრძოლების მოკვლის ვითარება და გარემოება, რომელნიც გერმანელთა ტყვეობაში მოხვდნენ. კომისიამ შეამოწმა მასალა დაკითხვისა, რომელიც მოახდინა უკრაინის სს რესპუბლიკის პროკურატურის იუსტიციის უფროსმა მრჩეველმა ლ. გ. მალცევმა, საგანგებო სახელმწიფო კომისიის წარმომადგენლების ბ. ტ. გოტცევისა და ვ. ა. კონონოვის მონაწილეობით, და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტების: უკრაინის სს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის მთავარი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის პროფესორ ი. ს. საპოჟნიკოვის, მოსკოვის ცენტრალური ნეირო-ქირურგიული ინსტიტუტის პატომორფოლოგიური სექტორის გამგის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის პროფესორ ლ. ი. სმირნოვის და უკრაინის სს რესპუბლიკის იუსტიციის სახალხო კომისარიატის ხარკოვის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის სასამართლო ექსპერტიზის დირექტორის პროფესორ ნ. ნ. ბოკარიუსის ანალიზის მასალები.

გამოძიების შედეგად შეგროვებულია მოწმეთა და დაზარალებულთა დიდძალი ჩვენება, საოკუპაციო ხელისუფალთა განკარგულებანი და სხვა დოკუმენტები, რომლებიც ამხილებენ ჰიტლერულ მთავრობას და გერმანიის არმიის უმაღლეს სარდლობას ადამიანობის ელემენტარული წესების უხეშად გაქელვაში.

ამ მასალების საფუძველზე საგანგებო სახელმწიფო კომისიამ დაადგინა:

1941 წლის შემოდგომაზე გერმანელმა ფაშისტმა დამპყრობლებმა მოახდინეს ქალაქ სლავუტის ოკუპაცია და მოაწყეს იქ წითელი არმიის დაჭრილი და ავადმყოფი ოფიცრებისა და მებრძოლებისათვის „ლაზარეთი", რომელსაც უწოდეს: „სლავუტის გროს-ლაზარეთი, ცაი ლაგერ 301". „ლაზარეთი" მდებარეობდა ერთნახევარ-ორ კილომეტრზე სლავუტის სამხრეთ აღმოსავლეთით და ეკავა ათი სამსართულიანი ქვიტკირის შენობა-ბლოკი. ჰიტლერელებს ყველა შენობისათვის შემოუვლიათ მავთულლობურების ხშირი ქსელი. ლობურების გასწვრივ, ყოველ 10 მეტრზე აგებული იყო კოშკურები, რომლებზეც დადგმული იყო ტყვიამფრქვევები, პროჟექტორები და იმყოფებოდა დაცვა.

„გროს-ლაზარეთის" ადმინისტრაცია, გერმანელი ექიმები და დაცვა კომენდანტ ჰაუპტმან პლანკის, რომელიც შემდეგ შეცვალა მაიორმა პავლიცკიმ, კომენდანტის მოადგილის ჰაუპტმან კრონსდორფერის, ჰაუპტმან ნოეს, შტაბსარტცის დოქტორ ბორბეს, მისი მოადგილის დოქტორ შტურმის, ობერფელდფებელ ილზემანის და ფელდფებელ ბეკერის სახით მასობრივად ჟლეტდნენ საბჭოთა სამხედრო ტყვეებს შიმშილის, შექუჩებულობისა და ანტისანიტარიის სპეციალური რეჟიმის შექმნის გზით, წამებისა და პირდაპირი მკვლელობის გამოყენებით, ავადმყოფთა და დაჭრილთათვის მკურნალობის გაუწევლობით და უაღრესად ღონემიხდილ ადამიანთა კატორღულ სამუშაოზე იძულებით გაგზავნის გზით.

### სლავუტის გერმანელთა „გროს-ლაზარეთი" სიკვდილის ლაზარეთი იყო

გერმანელი ხელისუფლები „გროს-ლაზარეთში" თავს უყრიდნენ 15-18 ათას მძიმედ და მსუბუქად დაჭრილებს, აგრეთვე სხვადასხვა ინფექციური და არაინფექციური სენით დაავადებულ საბჭოთა სამხედრო ტყვეებს. გარდაცვალებულთა სანაცვლოდ აქ განუწყვეტლივ გზავნიდნენ დაჭრილი და ავადმყოფი საბჭოთა სამხედრო ტყვეების ახალ პარტიებს. გზაზე სამხედრო ტყვეებს აწამებდნენ, შიმშილით კლავდნენ და ჟლეტდნენ. თვითეული ეშელონიდან, რომელიც „ლაზარეთში" მოდიოდა, ჰიტლერელები ასობით გვამს ჰყრიდნენ. ყოფილი სამხედრო ქალაქის ტერიტორიაზე მდებარე წყალსაწნევი კოშკის მემანქანემ ა. ი. დანილიუკმა აცნობა საგამომძიებლო კომისიას, რომ მან ნახა „მოსული ეშელონის თვითეული ვაგონიდან როგორ ჰყრიდნენ ჯგუფობით 20-25 გვამს და რკინიგზის შტოზე როგორ რჩებოდა 800-900-მდე გვამი".

ქვეითად გადაყვანის გზაზე ათასობით საბჭოთა სამხედრო ტყვე ილუპებოდა შიმშილისაგან, წყურვილისაგან, სამედიცინო დახმარების უქონლობისაგან, გერმანელთა ბადრაგის ველური აღვირახსნილობისაგან. სლავუტის საავადმყოფოს მედიცინის დამ ა. ნ. ივანოვამ აჩვენა საგამომძიებლო კომისიას, რომ ადგილობრივ მცხოვრებლებს საავადმყოფოში ხშირად მოჰყავდათ ბადრაგის მიერ მიტოვებული საბჭოთა სამხედრო ტყვეები მძიმე ჭრილობებით, რაც მათთვის გზაზე მიეყენებინათ. საავადმყოფოში მოყვანილთა და გარდაცვლილთა შორის მან დაასახელა 1-ლი რანგის ტექნიკოს-ინტენდანტი სოლომაი, შტაბის გადამწერი პოშეხონოვი და რიგითი მებრძოლი კაპილესი.

როგორც წესი, ჰიტლერელები კონდახებისა და რეზინის ჯოხების რტყმევით ხვდებოდნენ სამხედრო ტყვეების პარტიებს „ლაზარეთის" ჭიშკართან, შემდეგ ართმევდნენ ახლადმოსულთ ტყავის ფეხსაცმელს, თბილ ტანისამოსს და პირად ნივთებს.

### გერმანელი ექიმები განზრახ ავრცელებდნენ „ლაზარეთში" ინფექციურ სენს

„გროს-ლაზარეთში" გერმანელი ექიმები ხელოვნურად ჰქმნიდნენ წარმოუდგენელ სივიწროვეს. სამხედრო ტყვეები იძულებული იყვნენ ფეხზე მდგარიყვნენ ერთი-მეორეზე მჭიდროდ მიკრულნი, ისინი ძალას კარგავდნენ დაღლილობისა და გამოფიტვისაგან, ეცემოდნენ და კვდებოდნენ. ფაშისტები იყენებდნენ „ლაზარეთის" „შემჭიდროების" ნაირნაირ ხერხებს. ყოფილმა სამხედრო ტყვემ ი. ი. ხუაქევმა აჩვენა, რომ გერმანელები „ავტომატების სროლით ამჭიდროებდნენ ბინებს და ადამიანები ძალაუნებურად მჭიდროდ ეკვროდნენ ერთიმეორეს; მაშინ აქ ჰიტლერელები კიდევ შემოაგდებდნენ ხოლმე ავადმყოფებსა და დაჭრილებს და კარებს მოიხურავდნენ".

„ლაზარეთში" გერმანელი ექიმები განზრახ ავრცელებდნენ ინფექციურ დაავადებებს. პარტახტიანი ტიფით, ტუბერკულოზით, დიზენტერიით, დაავადებულებს, მძიმედ და მსუბუქად დაჭრილთ, ისინი ათავსებდნენ ერთ ბლოკსა და ერთ საკანში. ყოფილმა სამხედრო ტყვემ საბჭოთა ექიმმა ა. ა. კრიშტოფმა აჩვენა, რომ „ერთ ბლოკში იმყოფებოდნენ პარტახტიანი ტიფითა და ტუბერკულოზით დაავადებულნი, ავადმყოფთა რიცხვი 1.800 კაცს აღწევდა მაშინ, როცა ნორმალურ პირობებში იქ შეიძლებოდა არაუმეტეს 400 კაცის მოთავსება". საკნებს არ ალაგებდნენ. ავადმყოფები რამდენიმე თვეობით რჩებოდნენ იმ საცვლით, რომელიც მათ ეცვათ ტყვედ ჩავარდნის დროს. მათ ისე ეძინათ, რომ ქვეშ არაფერი არ ეგოთ. ბევრი ნახევრადშიშველი ან სრულიად შიშველი იყო. შენობებს არ ათბობდნენ, ხოლო თვით სამხედრო ტყვეების მიერ დამზადებულ პრიმიტიულ ღუმელებს ანგრევდნენ. არ ხდებოდა „ლაზარეთში" მომსვლელთა ელემენტარული სანიტარული დამუშავება. ყველაფერი ეს ხელს უწყობდა ინფექციურ დაავადებათა გავრცელებას. „ლაზარეთში" არ იყო არა თუ პირსაბანი, არამედ სასმელი წყალიც კი. ანტისანიტარიის შედეგად დატილიანებამ „ლაზარეთში" საშინელი ხასიათი მიიღო.

### „გროს-ლაზარეთის" გერმანელი ექიმები და დაცვა შიმშილით ჟლეტდნენ საბჭოთა სამხედრო ტყვეებს

საბჭოთა სამხედრო ტყვეების კვების სადღეღამისო ულუფა შესდგებოდა 250 გრამ ერზაც-პურისა და 2 ლიტრ ეგრეთწოდებული „ბალანდისაგან". ერზაც-პურს აცხობდნენ გერმანიიდან გამოგზავნილი სპეციალური ფქვილისგან. „ლაზარეთის" ერთ საწყობში აღმოჩენილია 15-მდე ტონა ასეთი ფქვილი, რომელიც ინახებოდა 40-კილოგრამიან ქაღალდის ტომრებში საფაბრიკო ეტიკეტებით — „შპელცმელ". სასამართლო მედიცინისა და კლინიკური ექსპერტიზით, აგრეთვე სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის კვების ინსტიტუტის მიერ 1944 წლის 21 ივნისს ჩატარებული ანალიზით დადგენილია, „რომ „ფქვილი" წარმოადგენს ბზეს სახამებლის უმნიშვნელო ნარევით (1,7 პროცენტი). სახამებლის არსებობა მოწმობს, რომ გამოსარკვევი მასა შეიცავს ფქვილის სრულიად უმნიშვნელო რაოდენობას, რომელიც, ალბათ, წარმოიშვა გალეწვისას თივაში შემთხვევით მოხვედრილი მარცვლისაგან. ამ ფქვილისაგან დამზადებული „პურით" კვება იწვევდა შიმშილს, ალიმენტარულ დისტროფიას, კახექსიური და შეშუპების (შიმშილით გამოწვეული შეშუპება) ფორმით და ხელს უწყობდა საბჭოთა სამხედრო ტყვეებს შორის კუჭ-ნაწლავების მძიმე დაავადების გავრცელებას, რაც ჩვეულებრივად სიკვდილით მთავრდებოდა".

ასევე დამღუპველად მოქმედებდა ორგანიზმზე „ბალანდა", რომელსაც ამზადებდნენ წიწიბურისა და ფეტვის ჩენჩოსაგან, გაუსუფთავებელი და ნახევრადდამპალი კარტოფილისა, ყოველნაირი ნარჩენისაგან, რაშიაც ურევდნენ მიწას, შუშის ნამსხვრევს. ხშირად საჭმელს ლეშისაგან ამზადებდნენ, რომელსაც კომენდანტის განკარგულებით „ლაზარეთის" მიდამოებში აგროვებდნენ.

ყოფილი სამხედრო ტყვეების ი. პ. ინოზემცევის, ე. ი. ჩიგრინის და პ. ნ. უდანოვის განცხადებით „გროს-ლაზარეთში" პერიოდულად ჩნდებოდა ხოლმე გამოურკვეველი ხასიათის დაავადება, რასაც გერმანელი ექიმები „პაროხოლერას" უწოდებდნენ. „პაროხოლერით" დაავადება იყო გერმანელი ექიმების ბარბაროსული ექსპერიმენტების ნაყოფი. ეს ეპიდემიები ისევე უეცრად ქრებოდა, როგორც ჩნდებოდა. „პაროხოლერის" შედეგი 60-80 პროცენტ შემთხვევაში სასიკვდილო იყო. ამ სნეულებათაგან გარდაცვლილთა ზოგიერთი გვამის განკვეთას ახდენდნენ გერმანელი ექიმები, ამასთან რუს სამხედრო ტყვე ექიმებს განკვეთაზე არ იწვევდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ სლავუტის ბანაკს ოფიციალურად „გროს-ლაზარეთი" ეწოდებოდა და მის შტატში სამედიცინო პერსონალის მნიშვნელოვანი რაოდენობა ირიცხებოდა, წითელი არმიის ავადმყოფი და დაჭრილი ოფიცრები და მებრძოლები სრულიად ელემენტარულ სამედიცინო დახმარებასაც კი ვერ ღებულობდნენ. ავადმყოფებსა და დაჭრილებს მედიკამენტები სრულიად არ ეძლეოდათ. ჭრილობებს ქირურგიულად არ ამუშავებდნენ და არ უხვევდნენ. არ ხდებოდა ძვალდაზიანებული დაჭრილი კიდურების იმობილიზება. მძიმე ავადმყოფთა მოვლაც კი არ იყო მოწყობილი. ყოფილმა სამხედრო ტყვემ სანიტარმა ქალმა ვ. ა. მოლჩანოვამ განაცხადა, რომ „დიდძალი ავადმყოფები და დაჭრილები, რომლებიც თავმოყრილი იყვნენ ჩვენს მეზობლად მდებარე ბინაში, ფიცრულ ტიხარს იქით, არ ღებულობდნენ არავითარ სამედიცინო დახმარებას. დღისით და ღამით მათი პალატიდან მოისმოდა განუწყვეტელი ვედრება დახმარების შესახებ, თხოვნა, რომ მიეცათ მათთვის თუნდაც ერთი წვეთი წყალი. ფიცრებს შორის ჭუჭრუტანებიდან ამოდიოდა მძიმე მყრალი სუნი დაჩირქებული და მოუვლელი ჭრილობების გამო".

### საბჭოთა სამხედრო ტყვეების წამება და დახვრეტა

საბჭოთა სამხედრო ტყვეებს „გროს-ლაზარეთში" აწამებდნენ და სტანჯავდნენ, სცემდნენ საჭმლის დარიგებისას, სამუშაოზე გაყვანისას. ფაშისტი ჯალათები მოჰკვდავებსაც კი არ ინდობდნენ. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზამ გვამების ექსგუმირებისას სხვებს შორის აღმოაჩინა გვამი სამხედრო ტყვისა, რომლისთვისაც აგონიის მდგომარეობაში დანით მიუყენებიათ ჩხვლეტითი ჭრილობა ფერდის არეში. ჭრილობაში ჩარჩობილი დანით იგი ჩაუგდიათ საფლავში და ჯერ კიდევ ცოცხლისათვის გადაუყრიათ მიწა.

„ლაზარეთში" მასობრივი წამების ერთ-ერთ სახეს წარმოადგენდა ავადმყოფთა და დაჭრილთა ჩამწყვდევა კარცერში, რომელიც ცემენტის იატაკიანი ცივი ბინა იყო. კარცერში ჩამწყვდეულებს რამდენიმე დღის განმავლობაში არ ეძლეოდათ საჭმელი, და ბევრნი იქ კვდებოდნენ. ჰიტლერელები ავადმყოფ და სუსტ ადამიანებს მათი კიდევ უფრო გამოფიტვის მიზნით აიძულებდნენ ერბინათ „ლაზარეთის" შენობების ირგვლივ, იმათ კი, ვისაც სირბილი არ შეეძლო, სანახევროდ სულის ამოხდომამდე სცემდნენ.

ხშირი იყო გერმანელი დარაჯების მიერ თავის გასართობად სამხედრო ტყვეების მოკვლის შემთხვევები. ყოფილმა სამხედრო ტყვემ დ. პ. ბუხტიიჩუკმა განაცხადა, თუ როგორ ჩამოჰკიდებდნენ ხოლმე გერმანელები მავთულლობურებზე მკვდარი ცხენების შიგნეულს და, როცა შიმშილისაგან გონებადაკარგული სამხედრო ტყვეები მიირბენდნენ ლობურებთან, დარაჯები ავტომატების სროლას უტეხდნენ მათ. მოწმე ლ. ს. კირსანოვს უნახავს, როგორ გაუგმირავთ ხიშტით ერთ-ერთი სამხედრო ტყვე იმისათვის, რომ მას აუღია მიწიდან კარტოფილის ტუბერი. ყოფილი სამხედრო ტყვე ა. ტ. შატალოვი „დასწრებია, როგორ მოჰკლა ბადრაგმა სამხედრო ტყვე, რომელიც ცდილობდა მიეღო მეორე ულუფა „ბალანდა". 1942 წლის თებერვალში მას „უნახავს, როგორ დაუჭრია გუშაგს ერთ-ერთი ტყვე, რომელიც ნაგვის ორმოში ეძებდა ნამცეცებს, რაც დარჩენოდათ მოსამსახურე პერსონალის გერმანელთა სამზარეულოში, და დაჭრილი დაუყოვნებლივ წაუყვანიათ ორმოსაკენ, ტანისამოსი გაუხდიათ და დაუხვრეტიათ".

ბანაკის კომენდატურა და დარაჯები არა ერთხელ იყენებდნენ წამების დახელოვნებულ ხერხებს. განკვეთილ ექსგუმირებულ გვამებს შორის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზამ აღმოაჩინა ოთხი გვამი სამხედრო ტყვეებისა, რომლებიც მოკლული არიან ცივი იარაღით, ჩხვლეტითი ჭრილობებით თავში, რაც ქალას ძრამდე აღწევდა.

დაჭრილ და ავადმყოფ სამხედრო ტყვეებს, მიუხედავად უაღრესი გამოფიტვისა და უკიდურესი სისუსტისა, ჰიტლერელები აუტანელ ფიზიკურ შრომას აკისრებდნენ, რაც მათ ძალღონეს აღემატებოდა. სამხედრო ტყვეების ზურგით გადაჰქონდათ სიმძიმეები, გაჰქონდათ მოკლული საბჭოთა ადამიანების გვამები. ქანცგამოლეულ და მუხლებმოკვეთილ სამხედრო ტყვეებს ბადრაგები ადგილზე ჰკლავდნენ. სამუშაოზე წასასვლელ და სამუშაოდან დასაბრუნებელ გზას, ქალაქ სლავუტის ქსენძის (მილევსკის) განცხადებით, მიჰყვება საფლავის პატარა ბორცვები.

საბჭოთა სამხედრო ტყვეებისადმი გერმანელი ფაშისტი ჯალათების მტარვალურად მოპყრობის ყველაზე მკაფიო დადასტურებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მრავალ ავადმყოფსა და ტყვეს ისინი ცოცხლად მარხავდნენ საფლავებში. ყოფილმა სამხედრო ტყვემ ა. მ. პანკინმა იცის შემთხვევა, როცა 1943 წლის თებერვალში საცხედრეში გაიტანეს გრძნობადაკარგული ავადმყოფი. საცხედრე ოთახში ავადმყოფი გონს მოვიდა, რაც მოახსენეს გერმანელს — ბლოკის შეფს. მაგრამ მან ბრძანა დაეტოვებინათ ავადმყოფი საცხედრეში, და ავადმყოფი დამარხეს.

იმის საფუძველზე, რომ სამხედრო ტყვეების ოთხი გვამის სასუნთქი ორგანოების სიღრმეში თვით უწვრილეს ბრონხებამდე აღმოჩენილია „დიდი რაოდენობით სილა, რომელიც შეიძლებოდა ასე ღრმად მოხვედრილიყო მხოლოდ სილაწაყრილ ადამიანთა სუნთქვითი მოძრაობისას", სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზამ დაადასტურა, რომ „გროს-ლაზარეთში" კომენდატურის მცველება გერმანელი ექიმების ნებართვით ცოცხლად მარხავდნენ საბჭოთა ადამიანებს.

### გერმანელი ჯალათები ხვრეტდნენ მშვიდობიან მოქალაქეებს საბჭოთა სამხედრო ტყვეებისადმი დახმარების აღმოჩენისათვის

მიუხედავად უმკაცრესი დაცვისა და თავაშვებული რეპრესიებისა, საბჭოთა სამხედრო ტყვეები აწყობდნენ „ლაზარეთიდან" ინდივიდუალურ და ჯგუფურ გაქცევას და თავშესაფარს პოულობდნენ სლავუტის და გარშემო მდებარე დასახლებული პუნქტების ადგილობრივ მოსახლეობასთან. ამასთან დაკავშირებით 1942 წლის 15 იანვარს შეპეტოვკის გებიტსკომისარმა მთავრობის მრჩეველმა დოქტორმა ვორბსმა, რომლის ოლქშიც შედიოდა ქალაქი სლავუტა, სპეციალური განკარგულებით გააფრთხილა მოსახლეობა, რომ „გარეშე პირებისადმი" ე. ი. გაქცეული სამხედრო ტყვეებისადმი რაიმე დახმარების აღმოჩენისათვის დამნაშავენი დახვრეტილ იქნებიან. ხოლო უკეთუ უშუალო დამნაშავეებს ვერ აღმოაჩენენ, მაშინ თვითეულ შემთხვევაში დახვრეტილი იქნება 10 მძევალი". ქალაქ სლავუტის რაიონულმა მმართველობამ თავის მხრივ გამოაცხადა, რომ „ყველა სამხედრო ტყვე, რომელიც დატოვებს ლაზარეთს, კანონგარეშე ცხადდება და დახვრეტილ იქნება ყველგან, სადაც კი მათ აღმოაჩენენ".

გაქცეულ და შეპყრობილ სამხედრო ტყვეებს, აგრეთვე მათთვის დახმარების აღმომჩენ მოქალაქეებს ჰიტლერელები აპატიმრებდნენ, სცემდნენ და ხვრეტდნენ. მღვდელ ქურკოვსკისათვის ცნობილია ფაქტი, რომ დააპატიმრეს და დახვრიტეს 26 მშვიდობიანი მოქალაქე, რომლებმაც დახმარება გაუწიეს სამხედრო ტყვეებს. მოწმე ი. ა. ფრივაუფმა განაცხადა, რომ სამხედრო ტყვეებისადმი დახმარებისათვის დააპატიმრებულ იქნენ ადგილობრივი საავადმყოფოს ექიმი მახნილოვი, ექიმ ვაიცემუკის ქალიშვილი, მედიცინის და ნინოწილა.

შეპყრობილი სამხედრო ტყვეებისა და მშვიდობიანი მოქალაქეების წამებაში განსაკუთრებულ აქტივობას იჩენდა სლავუტის ჟანდარმერიის შეფი ობერ-ვახმაისტერი რობერტ გოტოვიცი და მისი მოადგილე ვახმაისტერი ლორი. საბჭოთა ადამიანებს ჰიტლერელები ხვრეტდნენ იმ ნაკვეთზე, რომელიც სამხრეთიდან ეკვრის ყოფილი სამხედრო ქალაქის წყალსაწნევ კოშკს „გროს-ლაზარეთის" მახლობლად. ეს ადგილი მათ შეარჩიეს იმ მიზნით, რომ დაეშინებინათ სამხედრო ტყვეები, რომლებიც უნებური მოწმეები იყვნენ საშინელი ბოროტმოქმედებებისა.

### „გროს-ლაზარეთში" დაწესებული ბარბაროსული რეჟიმის შედეგები

სლავუტის „გროს-ლაზარეთიდან" გათავისუფლებული 525 საბჭოთა სამხედრო ტყვის სამედიცინო შემოწმებისას დადასტურებულ იქნა 435-ის უკიდურესი გამოფიტვა, 59-ის ჭრილობების გართულებული მიმდინარეობა, 31-ის ნერვულ-ფსიქიური აშლილობა. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა ექსგუმირებული 112 გვამის შინაგანი გამოკვლევისა და 500 გვამის გარეგანი გასინჯვის საფუძველზე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ „ლაზარეთის" ადმინისტრაციამ და გერმანელმა ექიმებმა შექმნეს ისეთი რეჟიმი, რომლის შედეგიც იყო თითქმის ყველა ავადმყოფისა და დაჭრილის სიკვდილიანობა. საბჭოთა სამხედრო ტყვეების სიკვდილის ძირითად მიზეზად სასამართლო-სამედიცინო ექსპერტები სთვლიან უკიდურეს გამოფიტვას, ინფექციურ დაავადებას, ავტომატებითა და ცივი იარაღით მიყენებულ ჭრილობებს. ისეთი სიკვდილიანობა, როგორიც იყო „ლაზარეთში", არ იცის არც ერთმა სამკურნალო დაწესებულებამ. საზიდრებში შებმული სამხედრო ტყვეები მთელი დღე-ღამის განმავლობაში ეზიდებოდნენ გვამებს წინასწარ მომზადებული ორმოებისაკენ და მაინც ვერ ასწრებდნენ. მაშინ „ტრანსპორტირების" დასაჩქარებლად გვამებს „ლაზარეთიდან" პირდაპირ ფანჯრებიდან ჰყრიდნენ და იქ ეზოში შტაბელებად აწყობდნენ.

ყოფილმა სამხედრო ტყვემ ა. ვ. ჩევრიუგინმა განაცხადა: „ჩემს ირგვლივ ადამიანები ასობით იხოცებოდნენ. ჩემს მახლობლად ყოველდღე 9-10 კაცი კვდებოდა. მკვდრები მიჰქონდათ, მათ ადგილებს ახალი ავადმყოფები იკავებდნენ, დილით კი იგივე სურათი მეორდებოდა. კოლოსალური სიკვდილიანობა დღეში 300 კაცამდე აღწევდა". ქალაქ სლავუტის ორი წლის ოკუპაციის განმავლობაში გერმანელი ექიმების ბორბეს, შტურმისა და მედიცინის სხვა მუშაკთა მონაწილეობით ჰიტლერელებმა „გროს-ლაზარეთში" გაჟლიტეს წითელი არმიის 150 ათასამდე ოფიცერი და მებრძოლი.

### გერმანელი ჯალათები ცდილობდნენ დაეფარათ თავიანთ ბოროტმოქმედებათა კვალი

გერმანელი ფაშისტი ჯალათები ყოველნაირად ცდილობდნენ დაეფარათ თავიანთ ბოროტმოქმედებათა კვალი. ისინი გულმოდგინედ ნიღბავდნენ საბჭოთა სამხედრო ტყვეების ჩამარხვის ადგილებს. ეს მტკიცდება კვლევა-ძიებისა და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის მასალებით. მარტო ყოფილი სამხედრო ქალაქის ტერიტორიაზე აღმოჩენილია მასობრივი ჩამარხვის 1.000-მდე საფლავი. № 623 საფლავის ჯვარზე წარწერილი იყო დასაფლავებულთა რვა გვამი. ამ საფლავის გათხრისას მასში 32 გვამი აღმოჩნდა. იგივე გამოაშკარავდა № 624 საფლავის გათხრისას. სხვა საფლავებში გათხრისას აღმოჩენილია მიწის ფენა მასში მდებარე გვამებს შორის. № 625 საფლავის გათხრისას ამოღებულ იქნა 10 გვამი, ხოლო 30 სანტიმეტრი სისქის მიწის ფენის ქვეშ — გვამების კიდევ ორი წყება. იგივე გამოაშკარავდა № 627 საფლავისა და № 8 საფლავის გათხრისას. უკანასკნელიდან ამოღებულია 30 გვამი, მიწის ფენის ქვეშ ნაპოვნია კიდევ მრავალი გვამი, რომლებიც გაცილებით ადრე ყოფილან ჩამარხული.

ჰიტლერელები ნიღბავდნენ ჩამარხვის ადგილებს მათზე ხეების დარგვის, ბილიკების გაყვანის, კლუმბების გაკეთების და სხვა გზით. № 6 ყაზარმასთან ერთ-ერთი ბილიკის ქვეშ, რომელიც ქვებით იყო მოგებული, აღმოჩენილ იქნა 4,5 მეტრი სიგრძისა და 3 მეტრი სიგანის საფლავი. ამ ყაზარმიდან ჩრდილო-დასავლეთი მიმართულებით, შეპეტოვკაში მიმავალი გზატკეცილის მახლობლად, აღმოჩენილია 6-6,5 მეტრი სიგრძისა და 2-2,5 მეტრი სიგანის სამი შენიღბული საფლავი.

### ჰიტლერელმა ჯალათებმა პასუხი უნდა აგონ

მოწმეთა ჩვენებების, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზისა და იმ გამოძიების მასალების საფუძველზე, რომელიც სპეციალურმა კომისიამ ჩაატარა, საგანგებო სახელმწიფო კომისიამ უცილობლად დაადასტურა „გროს-ლაზარეთის" მცველი რაზმის და გერმანელი ექიმების მიერ 150 ათასამდე საბჭოთა სამხედრო ტყვის წინასწარ განზრახვით გაჟლეტის ფაქტი.

საგანგებო სახელმწიფო კომისიამ ამ დანაშაულობათათვის პასუხისმგებლად მიაჩნია ფაშისტური გერმანიის მთავრობა და სამხედრო სარდლობა, აგრეთვე უშუალო დამნაშავენი: შტაბსარცტი დოქტორი ბორბე, მისი მოადგილე დოქტორი შტურმი, შეპეტოვკის გებიტსკომისარი, მთავრობის მრჩეველი დოქტორი ვორბსი, მაიორი პავლიცკი, ჰაუპტმანი პლანკი, ჰაუპტმანი ნოე, ჰაუპტმანი კრონსდორფერი, ობერ-ფელდფებელი ილზემანი, ფელდფებელი ბეკერი, სლავუტის ჟანდარმერიის შეფი ობერ-ვახმაისტერი გოტოვიცი და მისი მოადგილე ვახმაისტერი ლორი.

ისინი ყველანი მკაცრად უნდა დაისაჯონ თავიანთ საშინელ სისხლიან დანაშაულობათათვის, რომლებიც გამოიხატა საბჭოთა სამხედრო ტყვეების — წითელი არმიის მებრძოლებისა და ოფიცრების წინასწარ განზრახვით გაჟლეტაში.

# დეპეშები

## გერმანიის ამბები

ჟენევა, 2 აგვისტო (ტასსი). როგორც ჰიტლერულმა სააგენტომ, გერმანიის საინფორმაციო ბიურომ გადმოსცა, გერმანიაში გამოცხადებულია ქალაქ ლაიპციგის ყოფილ ბურგომისტრ კარლ გერდელერის ძებნა, რომელსაც ბრალად ედება ჰიტლერზე თავდასხმის [illegible] და 20 ივლისს გაიქცა. ცნობაში აღნიშნულია, რომ იმ პირებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ გერდელერის დაპატიმრებას, ჯილდოდ მიეცემათ ერთი მილიონი მარკა.

## თურქეთმა გასწყვიტა დიპლომატიური და ეკონომიური ურთიერთობა გერმანიასთან

ანკარა, 2 აგვისტო (ტასსი). როგორც ანკარის რადიო გადმოგვცემს, დღეს დილით თურქეთის პრემიერ-მინისტრმა სარაჯოღლუმ თურქეთის ნაციონალური კრების სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა, რომ თურქეთმა გადასწყვიტა დიპლომატიური და ეკონომიური ურთიერთობა გაწყვიტოს გერმანიასთან. როგორც სარაჯოღლუმ განაცხადა, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ თურქეთი ჩაებმება ომში, რამდენადაც ეს დამოკიდებულია იმ პოზიციაზე, რომელსაც გერმანია დაიკავებს. ანკარის რადიომ გადმოსცა, რომ თურქეთის მთავრობის გადაწყვეტილება მოწონებული იყო ნაციონალური კრების მიერ.

## მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობები

ლონდონი, 2 აგვისტო (ტასსი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის 2 აგვისტოს საღამოს ცნობაში ნათქვამია:

მოკავშირეთა ჯარების შენაერთები დღის განმავლობაში შეტევას განაგრძობდნენ და მდინარე ვირისა და ვირიდან კონდეში მიმავალ გზას მიაღწიეს. ჩვენმა ჯარებმა აიღეს სოფელი ესტრი. შეტევა გრძელდება. ჩვენი ჯარები უახლოვდებიან ონეს. კანის სექტორში გააფთრებული ბრძოლები გრძელდება მტრის ჯავშანსატანკო შენაერთების წინააღმდეგ. დასავლეთ სექტორში მოკავშირეთა ჯარების ჯავშანსატანკო შენაერთებმა წინ წაიწიეს პონტორსონს იქით, სხვა ნაწილები კი უახლოვდებიან სენაუს და წინ წაიწიეს ბრესტის სამხრეთ-აღმოსავლეთით. ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ქალაქი ვილდიე და შეტევას განაგრძობენ ტორინის სამხრეთით. ჩვენი ოპერაციები ჰაერში შეზღუდული იყო ამინდის პირობებით.

ლონდონი, 3 აგვისტო (ტასსი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის დღეს გამოქვეყნებულ ცნობაში ნათქვამია:

2 აგვისტოს ღამის განმავლობაში ფრონტზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა. ბრესტის სამხრეთ-აღმოსავლეთით დავძლიეთ მტრის წინააღმდეგობა ლე-მენილში; ბრძოლები გრძელდება პერსის სამხრეთით და ვირე-ბოკაჟისა და ონეს მიდამოებში. გრძელდება წინსვლა პონტორსონს იქით.

მოკავშირეთა ავიაცია თავს ესხმოდა ხიდებს, ტანკებს, საომარი მასალისა და საწვავის საწყობებს, ტრანსპორტსა და მტრის გემებს ბელგიიდან ბისკაის ყურემდე მდებარე ზონაში. საშუალო ბომბდამშენები წარმატებით ესხმოდნენ თავს მოწინააღმდეგის ობიექტებს საფრანგეთში.

## მოკავშირეთა ჯარებმა დაიკავეს რენი

ნიუ-იორკი, 3 აგვისტო (ტასსი). ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მინისტრმა სტიმსონმა დღეს პრეს-კონფერენციაზე გამოაცხადა, რომ მოკავშირეთა ჯარებმა დაიკავეს რენი (ილისა და ვილენის დეპარტამენტი ჩრდილოეთ საფრანგეთში).

## ჩერჩილის გამოსვლა თემთა პალატაში

ლონდონი, 2 აგვისტო (ტასსი). დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა უინსტონ ჩერჩილმა დღეს თემთა პალატაში ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიც დაწვრილებით გააშუქა საომარი მდგომარეობა.

## საომარი მოქმედება იტალიაში

ლონდონი, 3 აგვისტო (ტასსი). იტალიაში მოქმედი მოკავშირეთა ჯარების შტაბი იუწყება, რომ მონტელუპოს სამხრეთით ინდოელთა დივიზიის ნაწილებმა გადალახეს მდინარე პეზა ფართო ფრონტზე და წინ წაიწიეს ერთ მილზე მეტი მანძილით.

ფლორენციის სამხრეთ-დასავლეთით წინანდებურად მძიმე ბრძოლები სწარმოებს. მდინარე გრევეს ველზე, ფლორენციის სამხრეთით, მიუხედავად მტრის ძლიერი წინააღმდეგობისა, მიღწეულ იქნა სერიოზული წარმატებები.

მდინარე არნოს აღმოსავლეთ ნაპირზე, ფლორენციის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მოკავშირეთა ჯარებმა ზოგიერთ ადგილას წინ წაიწიეს. ინგლისის მე-8 არმიისა და ამერიკის მე-5 არმიის ფრონტის დანარჩენ უბნებზე პატრულები მოქმედებდნენ და საარტილერიო სროლა სწარმოებდა.

მოკავშირეთა ავიაცია თავს ესხმოდა მტრის კომუნიკაციებს, სატორპედო ქარხანას და სხვა სამხედრო ობიექტებს სამხრეთ საფრანგეთში და ბომბავდა სანავსადგურო ნაგებობებს გენუაში.

მოკავშირეთა ავიაცია მოქმედებდა აგრეთვე იუგოსლავიაში.

## ბრძოლები იუგოსლავიაში

ჟენევა, 2 აგვისტო (ტასსი). როგორც იუგოსლავიიდან გადმოგვცემენ, იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის უმაღლესი შტაბი იუწყება, რომ ცენტრალურ და ჩრდილოეთ დალმაციაში იუგოსლავიის ნაწილებმა მძლავრი კონტრიერიშები მიიტანეს. მდინარე ცეტინიეს ზემო წელის ხეობაში დაკავებულია მტრის დასაყრდენი პუნქტი კიევო. კნინ-გრახოვოს სექტორში გარშემორტყმულ გერმანელთა დაჯგუფებას სპობენ.

ცენტრალურ ბოსნიაში, დობოის რაიონში, გააფთრებული ბრძოლები სწარმოებს მოწინააღმდეგესთან, რომელიც ცდილობს გაიჭრას ქალაქ ტესლიჩისაკენ.

ჰერცეგოვინაში იუგოსლაველთა ნაწილებმა გაანადგურეს მტრის კოლონა ტრებინიეს სამხრეთით და დაიკავეს ტრებინიე-ცანტატის კომუნიკაცია.

მაკედონიაში ოსოგოვსკა პლანინის სექტორში სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილებმა გაანადგურეს ბულგარელთა ორი კოლონა. სანჯაკში იუგოსლავიელთა ნაწილები სდევნიან მტრის ჯარებს პრიეპოლიეს მიმართულებით.

ისტრიასა და ზაგორიეში გრძელდება იუგოსლავიის ჯარების წარმატებითი შეტევითი ოპერაციები.

სლავონიაში იუგოსლავიელმა პარტიზანებმა ბევრ ადგილას გადასჭრეს ვინკოვცი-ოსიეკის რკინიგზის ხაზი. სლავონიასა და სრემში გრძელდება ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები მოსავლის დასაცავად.

## ომი წყნარ ოკეანეში

### იაპონიის ჯარებმა შესწყვიტეს წინააღმდეგობა ტინიანის კუნძულზე

ვაშინგტონი, 2 აგვისტო (ტასსი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, ტინიანის კუნძულზე (მარიანის კუნძულები) იაპონიის ჯარებმა შესწყვიტეს ორგანიზებული წინააღმდეგობა. ამერიკელთა ჯარის ნაწილები ოპერაციებს ეწევიან იაპონელთა ჯარების ნაშთებისაგან კუნძულის გასაწმენდად.

გუამის კუნძულზე ამერიკის ჯარები განაგრძობენ სწრაფად წინსვლას.

## კანონი იტალიაში ფაშისტი მეთაურების პასუხისგებაში მიცემის შესახებ

ნიუ-იორკი, 1 აგვისტო (ტასსი). როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი" იუწყება, ბონომის მთავრობამ გამოაქვეყნა კანონი ფაშისტების პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

კანონის მთავარი მიზანია დასაჯოს დამნაშავე ფაშისტი ხელმძღვანელები. კანონი შესდგება სამი ნაწილისაგან: პირველი ნაწილი ითვალისწინებს დასჯას ფაშისტური დანაშაულისათვის, მეორე — სამოქალაქო დაწესებულებათა წმენდას, მესამე — ფაშისტთა ქონების კონფისკაციას.

ოფიციალურად არის გამოცხადებული, რომ ფაშისტი მეთაურების მიმართ არ იქნება გამოჩენილი არავითარი შეღავათი და არავითარი ლმობიერება.

## მშრომელთა დეპუტატების ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონული საბჭოს სესია

7 აგვისტოს საღამოს 7 საათსა და 30 წუთზე ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიულ კომბინატ „კომუნისტის" კლუბში (ლენინის ქ. № 28) შესდგება მშრომელთა დეპუტატების ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაისაბჭოს XVII სესია.

## „ლეკის ქალი გულჯავარ"

დუშეთის რაიონულმა კლუბმა ამ დღეებში მაყურებელს უჩვენა ა. ცაგარლის პიესა „ლეკის ქალი გულჯავარ", დადგმა — ელ. ნავაძისა, მუსიკა — ო. ხუციშვილისა და მხატვრობა ნ. მერაბიშვილისა.

მთავარ როლებში მონაწილეობდნენ: ქ. ქურდოვანიძე (გულჯავარ), ა. ნამურაძე (ლევანი), თ. კაზალიკაშვილი (ფატმანი), ვ. გოზიტაშვილი (რამაზი) და დ. ნავაძე (ზურაბი).

პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ნანიტაშვილი

შვილები ივანე, შალვა და სოფიო ოჯახებით იუწყებიან ანასტასია ანდრიას-ასულ ვარაზანაშვილის გარდაცვალებას. პანაშვიდი 4/VIII, 7 ს. გამოსვენება 5/VIII, 6 ½ ს. ვახტანგოვის, 5.

მეუღლე ლევან, შვილი ქეთევან, ძმა ვანო ავალიშვილი იუწყებიან თინათინ ლევანის-ასულ ფავლენიშვილის გარდაცვალებას. გამოსვენება 4/VIII, 6 ს. ბარნოვის, 26.

სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების ცენტრალური გამგეობა იუწყება აჭარის უსინათლოთა საზოგადოების გამგეობის წევრის იასონ ბეჟანის-ძე საბახტარაშვილის გარდაცვალებას.

გაზეთ „კომუნისტის" რედაქცია აცნობებს მოქალაქეებს, რომ პირადი დოკუმენტების დაკარგვის საკითხებზე უნდა მიმართონ ნაპოვნი საბუთების მაგიდას, რომელიც არსებობს მილიციის სამმართველოსთან, (ბეჟელის მოედანი 1, ოთახი 70, 1-ლი სართული).

სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების ცენტრალური გამგეობა იუწყება ქიათურის განყოფილების თავმჯდომარის გრიგოლ ქადაგიძის მეუღლის ანა ქადაგიძის გარდაცვალებას.

არტელ „საქძაფის" მუშა-მოსამსახურენი იუწყებიან მათიკო ქარუმიძის დედის ეკატერინე ქარუმიძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 4, 5/VIII, 8 ს. გამოსვენება 6/VIII, 5 ს. წულუკიძის, 3.

ცოლი ზინა, შვილები მერი, ნუგეში, იმედი, ბიძაშვილები ანტონინა, იასონ, პორფილე ნადარაიები იუწყებიან მასწავლებლის პლატონ უტუს-ძე ნადარაიას გარდაცვალებას.

ა. მესხი, შ. მესხი, მ. ჩოგოვაძე, ს. თორთლაძე, ჯ. ნიჟარაძე, ო. ქორქია, ბ. ქუთელია იუწყებიან გიორგი (კაკური) ასათიანის გარდაცვალებას.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 91.800

უე 07869